PDF Eraser Free

დანართი №2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კოლეჯ „ოპიზარის“ მიერ “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თამარ გიორგობიანი
წევრები: გივი დოლიძე

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კოლეჯი „ოპიზარი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

[redacted] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N1440099 ბრძანების (ცვლილება ბრძანებაში N28343, 17.01.22) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. თამარ გიორგობიანი - თავმჯდომარე;
2. გივი დოლიძე - წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება.

ამ მიზნით, ექსპერტების ჯგუფის მიერ კოლეჯში განხორციელდა ვიზიტი (აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრის კორონავირუსით ინფიცირების გამო, ფიზიკური ვიზიტით მხოლოდ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე იმყოფებოდა კოლეჯში, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის წევრი (დარგის ექსპერტი) zoom – ის პლატფორმით მონაწილეობდა პროცესში). ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კოლეგიალურ ატმოსფეროში. ვიზიტის დღეს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს, მოდულების განმახორციელებელ პირებსა და კოლეჯის ბიბლიოთეკარს. შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსი, ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის განმავლობაში გამოკვეთილი გარემოებები და მიგნებები.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილება არ გამოვლენილა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.1 *მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს გაწერილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კომპონენტი, სასურველია, დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს პროცედურები, მაგალითად, ვინ შეიძლება იყოს პროგრამის დამატების ინიციატორი, სავარაუდოდ, რა ვადებში ხდება პროგრამის დამატების ინიციატივის, შემუშავებისა და დამტკიცების განხილვა.*

2.1.1.3 *კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით, გაწერილია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სასწავლო გარემოს თანაფარდობა პროფესიულ სტუდენთან, რაც სავალდებულო იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი სტანდარტით. სასურველია, კოლეჯმა მოდიფიცირება გაუკეთოს აღნიშნულ რეგულაციას და კონტიგენტის დაგეგვის პროცესში ასევე გაითვალისწინოს ფინანსური რესურსების კომპონენტიც.*

2.2.1.4 *„თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს სამი პირი, სასურველია, გაიმიჯნოს და დაკონკრეტდეს თითოეული პროგრამის ხელმძანელის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.*

2.4.2.2 *სასურველია, დაიხვეწოს ვერიფიკაციასთან დაკავშირებული რეგულაციები და პროცედურები, უფრო დაწვრილებით აღიწეროს ვერიფიკაციის შედეგები და შემდგომი უკუკავშირი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ ქ. ახალციხე რუსთაველის ქ.#111
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი მისამართი: სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ ქ. ახალციხე რუსთაველის ქ.#111
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 კოლეჯს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების კომპონენტებს. დოკუმენტში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურები. პროგრამის შემუშავება ხდება კოლეჯის დირექტორის მოადგილის უშუალო ხელმძღვანელობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში / მოდულების ადაპტირებაში მონაწილეობას ღებულობენ პროგრამების ხელმძღვანელები, ზოგადი მოდულებისა და შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლები. პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს იხილავს დარგობრივი კათედრა. დაწესებულება რეგიონში არსებული გამოწვევების, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებით, ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით შექმნილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში ასახულია არსებული გარემოებები სამშენებლო მიმართულებით: სამშენებლო სექტორი საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდი (57%) დარგია. იზრდება, როგორც კერძო დანიშნულების მშენებლობის ფართობი, ისე სახელმწიფოს ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა. ინფრაქსტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის მიერ (ICCA) გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების GIZ მხარდაჭერით კომპანიების საჭიროებათა გამოსავლენად ჩაატარა კვლევა. კვლევის შედეგად გამოვლენილ პრიორიტეტულ პოზიციათა შორის სხვებთან ერთად, თაბაშირ-მუყაოს მემონტაჟის პოზიციაც აღმოჩნდა. რეგიონის სამშენებლო კომპანიები განიცდიან კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას, ასევე ტენდერში გამარჯვებული სხვა (არაადგილობრივი) კომპანიები რეგიონში ეძებენ ადგილობრივ სპეციალისტებს, რადგან ჩამოყვანა გაცილებით ძვირი უჯდებათ. კვლევის თანახმად კადრის მოძიებით დაინტერესებულია კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია შპს „არალი“.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ექსპერტების მიერ დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია კოლეჯში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად, *თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს გაწერილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კომპონენტი, სასურველია, დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს პროცედურები, მაგალითად, ვინ შეიძლება იყოს პროგრამის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>დამატების ინიციატორი სავარაუდოდ, რა ვადებში ხდება პროგრამის დამატების ინიციატივის, შემუშავებისა და დამტკიცების განხილვა.</u>

2.1.1.2 „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს საბაზო განათლებას. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის სხვა პროცედურები განსაზღვრულია სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესით (#62, 09.07.2021) და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

2.1.1.3 კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N42 ბრძანებით. აღნიშნული მეთოდოლოგია პროფესიული საგანმანათლებლო პრორამისათვის პროფესიული სტუდენტის ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს როგორც სასწავლო გარემოს სახეობის (A,B,C), ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით. დოკუმენტში გაწერილია სასწავლო გარემოსა და პროფესიული განათლების მასწავლებლების თანაფარდობა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში (ერთ პროფესიულ სტუდენტზე გამოყოფილია 2კვ.მ ფართი, ხოლო 20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას უნდა ჰყავდეს 1 პროფესიული განათლების მასწავლებელი). *<u>უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი თანაფარდობა სავალდებულო იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი სტანდარტით. სასურველია, კოლეჯმა მოდიფიცირება გაუკეთოს აღნიშნულ რეგულაციას და კონტიგენტის დაგეგვის პროცესში ასევე გაითვალისწინოს ფინანსური რესურსების კომპონენტიც.</u>* „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სათანადოდ აღჭურვილი, ერთი A, ერთი B და ერთი C სასწავლო გარემო (სახელოსნო), პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი (10 - ზოგადი მოდულის, 5 - დარგობრივი მოდულის). კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი რამდენიმე პარტნიორ კომპანიასთან, რომლებიც გამოთქვამენ მზადყოფნას ითანამშრომლონ კოლეჯთან „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. კოლეჯი ითხოვს ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო პროგრამაზე თითოეული ჩარიცხვისთვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 15 პროფესიული სტუდენტით. ამდენად, აღნიშნული სასწავლო გარემოს ფართისა და მასწავლებლების თანაფარდობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისობაშია იმ მეთოდოლოგიასთან, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავს კოლეჯი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას.

2.1.1.4 პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ახლავს დანართი მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ, რომელიც სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და ითვალისწინებს A,B და C სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობით, რაც ადასტურებს კოლეჯის ბაზაზე პროგრამის განხორციელების შესაძლებელობას.

2.1.1.5 „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულებს.

2.1.1.6 კოლეჯი სამართლებრივი ფორმის მიხედვით არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს განათლების,მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N127/ნ ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის წესდება, რომლის თანახმად, დირექტორი უფლებამოსილია დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები. „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 ნოემბრის N124 ბრძანებით.

2.1.1.7 „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებუალია „მშენებლობის წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე და პროგრამის სახელწოდება იდენტურია „კედლის დაფარვის სამუშაოების“ კვალიფიკაციის ერთ-ერთი კონცენტრაციის - „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟისა“, შესაბამისად, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.8 „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „მშენებლობის წარმოების“ ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე და განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა (მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული (A2)) და სასწავლო გეგმას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
2. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. დარგობრივი კათედრის სხდომის ოქმები;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“;
5. კოლეჯის წესდება;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ (N124, 19.11.2021);
7. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ახლავს დანართი მატერიალური რესურსების შესახებ, ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი აუდიტორიები და სახელოსნო, რომელიც სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და ითვალისწინებს A, B და C სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობით 15 პროფესიულ სტუდენტზე (კოლეჯი ითხოვს ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო პროგრამაზე თითოეული ჩარიცხვისთვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 15 პროფესიული სტუდენტით). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად მიღწევადია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით (დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ფარგლებში არსებული მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია), თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „ნეოპროჯექტთან“ და შპს „არალისთან“ (ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გულისხმობს პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კომპანიის საქმიანობის სპეციფიკისა და იქ მიმდინარე საწარმოო პროცესის გაცნობას). ექსპერტები გაესაუბრნენ შპს „არალის“ წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობის მზაობა ამ მიმართულებით.

2.2.1.2 „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 15 (მათ შორის 5 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. თითოეულ პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების დირექტორის მოადგილესა და სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი ცხრილების შედეგად დაადგინა, რომ კოლეჯი აკონტროლებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საათობრივი დატვირთვის ბადეს, შესაბამისად, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3 ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა შეამოწმეს „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები, საიდანაც დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები მათი კვალიფიკაციითა და გამოცდილებით უფლებამოსილი არიან განახორციელონ აღნიშნულ პროგრამაში შემავალი მოდულები, გარდა ამისა, მათთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ უმრავლესობას აქვს მოდულური სწავლების გამოცდილება. განმახორციელებლებმა ისაუბრეს საკუთარი საქმიანობის შესახებ და აღნიშნეს, რომ უშუალოდ ესწრებოდნენ მოდულების შემუშავებისა და ადაპტირების პროცესს. გავლილი აქვთ ტრენინგ-კურსები, რომლებიც უკავშირდება პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

2.2.1.4 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს სამი ხელმძღვანელი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები, საიდანაც დადგინდა, რომ აღნიშნულ პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული და მოდულური სწავლების გამოცდილება, აქტიური კომუნიკაცია აქვთ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, უშუალოდ მონაწილეობდნენ პროგრამისა და სასწავლო გეგმის ადაპტირება–შემუშავებაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში. *თუმცა, თუკი პროგრამას ერთზე მეტი ხელმძღვანელი ეყოლება, სასურველია, გაიმიჯნოს და დაკონკრეტდეს მათ მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.*

2.2.1.5 ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა და საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონილი, ისე მატერიალური სახით.

2.2.1.6 კოლეჯში სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები გაწერილია დაწესებულების „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის(საჭიროების შემთხვევაში), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას, რაც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგადაც დადასტურდა.

2.2.1.7 დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, (პროგრამის ბიუჯეტი 58481 ლარი), რომლის მიხედვითაც შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სუბსიდია 26900 ლარის ოდენობით და ვაუჩერული დაფინანსება 31581 ლარის ოდენობით. რენტაბელობის ზღვარია 6 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ხარჯები წარმოდგენილია საოპერაციო ხარჯების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებისა და პროგრამის განვითარების ხარჯის სახით და ჯამში შეადგენს 58481 ლარს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
3. „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
4. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
5. სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
6. ვიზუალური დათვალიერებით;
7. პროგრამის ბიუჯეტით;
8. ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

2.3.1.1 დაწესებულების „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურები, რაც შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნის, განათლების ხარისხის განვითარების როვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე. დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურები მოიცავს სხვადასხვა კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს. მიღებული შედგები კი გამოიყენება პროგრამების განახლებისა და შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასაბლად დაწესებულება აწარმოებს პროფესიული სტუდენტის, პროფესიული განათლების მასწავლებელის, დამსაქმებელის, კურსდამთავრებულის გამოკითხვას, ესწრება მეცადინეობებსა და შედეგების დადასტურების პროცესს.

2.3.1.2 დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების თანახმად, ხარისხის მართვის მენეჯერი ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს აანალიზებს, აჯამებს შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში კი, დაწესებულებას შეაქვს ცვლილებები პროგრამაში. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ იგი მოქმედებს ხარისხის შიდაუზრუნველყოფის მექნიზმებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის მიხედვით, კოლეჯმა შეიმუშავა კითხვარების ახალი ფორმები, სამომავლოდ იგეგმება ელექტრონული კითხვარების შექმნა და დანერგვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით;
2. სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის წლიური ანგარიშით;
4. ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 დაწესებულების მიერ დამტკიცებული „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, რაც დაწესებულების სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგადაც დადასტურდა.

2.4.1.2 კოლეჯის მიერ შემუშავებულ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროცედურები, კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვლ სასწავლო გარემოში (სათანადო კომპიუტერული ტექნიკა, ვიზუალიზაციის საშუალებები). მოდულებში გაწერილია სწავლებისა და შეფასების მეთოდები კოლეჯის C სასწავლო გარემო (სახელოსნო) აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ინვენტარით, რაც საჭიროა სწავლის შედეგების ასათვისებლად.

2.4.1.4 პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა გაწერილია დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“. დოკუმენტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება სტუდენტის/სტუდენტების იმ კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც ლეგიტიმურია სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლებელია დადგეს: მობილობით ჩარიცხული სტუდენტის ინტეგრირების, სტუდენტის სტატუსის აღსადგენად სტუდენტის ალტერნატიულ ჯგუფში ინტეგრაციის, სსსმ სტატუსით ჩარიცხული სტუდენტისთვის მოქნილი სასწავლო გრაფიკის შექმნის მიზნით, რომელიც გამოწვეულია სამედიცინო აუცილებლობით და არ აფერხებს სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტის მინიჭება – მოდულის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოდულის განმახორციელებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს, სტუდენტისათვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა, განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისათვის ოპტიმალური სასწავლო გარემო, საჭირო რაოდენობით გამოიყენოს სასწავლო მასალა და ნედლეული, შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. დაწესებულებაში არსებული, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

2.4.1.5 „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს შპს „ნეოპროჯექტსა“ და შპს „არალისთან“. ექსპერტები გაესაუბრნენ შპს „არალის“ წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ კოლეჯთან მზაობას გამოთქვამენ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს გააცნონ კომპანიის საქმიანობის სპეციფიკა და იქ მიმდინარე საწარმოო პროცესი.

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს გაწერილი აქვს „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 12.03.2021 წლის #18 ბრძანებით. კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. წინამდებარე წესი განსაზღვრავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ისეთ ვალდებულებებს, მაგალითად, როგორიცაა შენობაში საფრთხის რისკების მინიმუმამდე დაყვანა, სახანძრო უსაფრთხოებისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის ტრენინგების ჩატარება და ინფორმაციის მიწოდება და სხვა. კოლეჯი აღჭურვლია უსაფრთხოებისათვის საჭირო ინვენტარით, შენობაში სათანადო ადგილებში განთავსებულია ცეცხლმაქრები და გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებაში დაცულია კოვიდრეგულაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის C სასწავლო გარემოში (სახელოსნოში)სამუშაო ადგილებზე გამოკრულია გამაფრთხილებელი აბრები და ქცევის წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
2. „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
3. „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით;
4. პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
5. შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუმველყოფის წესით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2.1 დაწესებულებაში მოქმედებს სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შექმნის, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის, ვალიდაციისა და ვერიფიკაციისა და სხვა პროცედურები, დოკუმენტის მიხედვით, შეფასება შესაფასებელი პირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია, რომელიც შეფასების ინსტრუმენტისა და შედეგის (პროდუქტის) შეფასებასა და პროცესზე დაკვირვებას მოიცავს. დოკუმენტის მიხედვით, შეფასების სისტემა ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტურია. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართულია სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ასევე პროგრამის ხელმძღვანელი, რაც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც დადასტურდა.

2.4.2.2 ვერიფიკაციის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოვის მენეჯერის მიერ დგება ვერიფიკაციის განრიგი, იქმნება ვეიფიკაციის ჯგუფი, რომელში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები. 2021 წლის მაისში ჩატარდა რამდენიმე პროგრამის ვერიფიკაცია, ხოლო შედეგები განხილულ იქნა სამუშო შეხვედრაზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი, რაც საკმაოდ მწირ ინფორმაციას მოიცავს (ოქმის თანახმად, ვერიფიკაცია ჩატარდა „საფინანსო სერვისების“, „თმის მომსახურების“, „საოფისე საქმისა“ და „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პრგრამების ფარგლებში, რაც წესით, საკმაოდ მოცულობითი სამუშაო უნდა ყოფილიყო. ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ ვერიფიკაციის პროცესი ვერ ჩატარდა სათანადო ხარისხით, რადგან კოლეჯის თანამშრომლების დიდი ნაწილი კრონავირუსით იყო ინფიცირებული, მათ შორის თვითონ ხარისხის მართვის მენეჯერიც (მისი რეაბილიტაცის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივი იყო - 2 თვე გაგრძელდა), რაც ერთერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ვერიფიკაციის სათანადოდ ჩასატარებლად. *ამდენად, სასურველია, დაიხვეწოს ვერიფიკაციასთან დაკავშირებული რეგულაციები და პროცედურები უფრო დაწვრილებით აღიწეროს ვერიფიკაციის შედეგები და შემდგომი უკუკავშირი.*

2.4.2.3 კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების პროცედურა. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება მტკიცებულებებს უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახავს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2.4 კოლეჯში შექმნილია მონიტორინგის სისტემა, შერჩევის გზით პერიოდულად ხდება სასწავლო პროცესზე დასწრება, როგორც მეცადინეობებზე, ასევე შედეგების დადასტურებზე. ხარისხის მართვის მენეჯერი დასწრების შედეგად გამოვლენილ გარემოებებს აცნობს პროგრამის ხელმძღვანელსა და მოდულის განმახორციელებლებს. თავის მხრივ, პროფესიული განათლების მასწავლებელი ინდივიდუალურ რეჟიმში განიხილავს პროფესიულ სტუდენტთან შეფასების შედეგებს, უხსნის არსებულ ვითარებას, რატომ და როგორ მოხდა სტუდენტის შეფასება და რა არის გასაუმჯობესებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო პროცესის რეგულირებელი წესით;
2. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შედეგების განხილვისა და ანალიზის მიზნით სამუშაო შეხვედრის ოქმით;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის წლიური ანგარიშით;
4. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი თან ახლავს დასკვნის პროექტს.

15 .02.22

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: